განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების განხორციელების თარიღი: 20.09.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17.10.2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფარმაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0916 ფარმაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული N1046700; 28/10/2020

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ფანცულაია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა გორგასლიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ხატისაშვილი, ა(ა)იპ აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

,,ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან (2012 წლის 27 ნოემბერი. №710 გადაწყვეტილება). რეაკრედიტაციისას პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია (29.10.2020, გადაწყვეტილება MES 5 20 0001046700) 2 წლის ვადით. აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს მიერ გაცემული იქნა 27 რეკომენდაცია, რომლის მიხედვით დაწესებულებამ პროგრამაში შეიტანა ძირეული ცვლილებები და გაითვალისწინა რეკომენდაციები.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. თავისუფალი სავალდებულო და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 70 კრედიტი, ფარმაციის სასწავლო კურსები სავალდებულო და არჩევითი - 170 კრედიტი. საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 წელი/8 სემესტრი. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე (MES 0 22 0001033077) მიმდინარე წლის 20 სექტემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ია ფანცულაია (თავმჯდომარე); ნანა გორგასლიძე (წევრი); თამთა ცხოვრებაძე (წევრი), თამარ ხატისაშვილი (წევრი) განახორციელა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ქ. ზუგდიდში და

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეფასება აკრედიტაციის სატნდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
ვიზიტი მიმდინარეობდა ჰიბრიდულ ფორმატში. 20 სექტემბერს ინტერვიურების დროს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ადგილზე, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ჩაერთო დისტანციურად. ადგილზე განხორციილლდა სასწავლო ბაზების (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები) დათვალიერება.
ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელებს, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს, ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.
შეხვედრის დროს პასუხი გაეცა ძირითად საკითხებს, მათ შორის: პროგრამის შედეგები და განხორციელების გზები, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის რესურსები, სილაბუსები და შეფასების სისტემა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და ბაზები, დამსაქმებელთა ჩართულობა და შესაძლო დასაქმების შესაძლებლობები, ხარისხის უზრუნველყოფის და შედეგების შეფასების მექანიზმები. დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - შესაბამისია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2- მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3- შესაბამისია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4 - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5 - შესაბამისია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.2 რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირებისა და შინაარსობრივი მხარის გადახედვა, რათა უპასუხოს მიღწევადობასა და რეალისტურობას, ასევე შედეგების შესაბამისი ზმნებით ფორმულირებამ მკაფიოდ განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი;
2.2 რეკომენდებულია „ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები"-ს არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსებში გადმოტანა.
2.3 რეკომენდებულია სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გასწორება;
2.3 რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის განახლება;
2.4 რეკომენდებულია ყველა დამსაქმებელთან გაფორმდეს ხელშეკრულება, სადაც ასახული იქნება სტუდენტების ზუსტი რაოდენობა და პრაქტიკის პირობები

4.1 რეკომენდებულია ფარმაციის მიმართულებით აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა;

4.2 რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ზრდა საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მისაღწევი გზების დასახვა
- სასურველია სილაბუსებში ინგლისურნენოვანი ლიტერატურის გამრავალფეროვნება;
- სასურველია, სტუდენტები უფრო აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში;
- სასურველია, უსდ-მ შესაძლებლობის ფარგლებში, პერიოდულად განაახლოს ლაბორატორია თანამედროვე ანალიზური დანადგარებით;
- სასურველია მეტად გააქტიურდეს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, რათა გაცილებით ეფექტურად მოხდეს განვითარების პროცესებში მათი ჩართულობის და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის საპასუხოდ სასწავლო უნივერსიტეტმა გამოგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულიაა, რომ „ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მითითებულ რეკომენდაციებს“. დაწესებულების მიერ გაზიარებულია ყველა რეკომენდაცია და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია, კერძოდ: 1,2, 2.2 და 4.2 ჩასწორებულია; 2.3 და 2.4-ზე მიმდინარეობს მუშაობა და დაგეგმილია 2023-ისთვის. 4.1 რეკომენდაციის შესასრულებლად გამოცხადებულია კონკურსი. რაც შეეხება „ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“-ს სავალდებულო სასწავლო კურსად გადმოტანას, ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მომავალი ფარმაცევტი კარგად უნდა იცნობდეს კანონებს, რომლითაც რეგულირდება ფარმაცევტული საქმიანობა. სწორად უნდა ჰქონდეს გააზრებული სამკურნალო საშუალებების პაციენტამდე მიტანის შესახებ მარეგულირებელი აქტები (წამლისა და ფარმაცევტული სამიანობის შესახებ საქართველოს კანონი, ჯანდაცვის კანონი, რეკლამის კანონი, პაციენტის უფლებების დაცვის კანონი, და ა. შ).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნა დარჩა უცვლელი შესაბამისი რეკომენდაციებით და რჩევებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

აღსანიშნავია უსდ-ს როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართულებით. როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები და ადმინისტრაცია აქტიურად

არიან ჩართულები აფხაზი სტუდენტების ხელშეწყობასა და ინტეგრაციაში, რაც ძალზე დასაფასებელია.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ლაბორატორიების აღჭურვილობა და ამჟამად სავსებით აკმაყოფილებს სტუდენტთა საჭიროებებს როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; პროგრამის მიზნები ითვალისწინებს და პასუხობს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა, ასევე გაანალიზა არსებული კვლევები ფარმაციის პროფესიასა და დარგთან მიმართებით. როგორც არსებული კვლევებით, ასევე დამსაქმებლებთან ინტერვიუთი იკვეთება, ფარმაციის პროფესიის მქონე კადრებზე არსებობს მოთხოვნა. ამასთან, როგორც დაწესებულება, ასევე დამსაქმებლები ხაზს უსვამენ საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობას რეგიონისთვის. დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელებით, ის წვლილს შეიტანს როგორც დარგის, ასევე რეგიონის განვითარებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება დაწესებულების მისიას, რადგან ის წარმოადგენს რეგიონულ უნივერსიტეტს და როგორც საზღვრისპირა რეგიონში არსებული უნივერსიტეტი ემსახურება რეგიონის განვითარებას, რეგიონის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. პროგრამის მიზნები უზრუნველყოფს: • სტუდენტზე ორიენტირებული ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზებას;

- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარებას, თვითრეალიზებას და სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ხელშეწყობას

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები განსაზღვრავს საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც უნდა გააჩნდეს ფარმაციის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს. ზსსუ-ს 7 წლიან სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინებულია ,,ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მექანიზმები". ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ შემუშავებული გეგმის მიხედვით ზსსუ აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ინტერნაციონალურ პროექტებში (STAR-სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები, INTEGRITY-ი შეფასების კრიტერიუმები, და სხვა), თუმცა საჭიროებს მეტ აქცენტირებას უშუალოდ ფარმაციის პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორებია

- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- შ. მესხიას სასწავლო უნივერსიტეტის მისი/სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები: პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის
- უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან;
- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მისაღწევი გზების დასახვა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 **პროგრამის სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და წარმოდგენილია 14 სწავლის შედეგის სახით, რომლებიც გადანაწილებულია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კონტექსტში. სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს პროგრამის მიზნებს და ასახავს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სწავლის ძირითად შედეგებს. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი ,,პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. არსებული წესის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: საგნობრივი/კრებსითი გამოცდა, პროექტი, სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა და სხვ. არაპირდაპირი შეფასებისას -

პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, პრაქტიკის ხელმძღვანელის, კოლეგების გამოკითხვა, სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა.

გამოკითხვები ტარდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით, პერიოდულად და იძლევა საშუალებას დადგინდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ისინი იღებენ მხარდაჭერას დაწესებულების მხრიდან პროგრამის სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისათვის. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს პერმანენტულ შეხვედრებს, სემინარებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი გარდა განმსაზღვრელი შეფასებებისა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებებს, კერძოდ, ახდენენ უკუკავშირს სტუდენტებთან სწავლის დადგენილი შედეგების მიღწევის მდგომარეობის შესახებ.

წარმოდგენილი ინდიკატორების რუბრიკის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით, გეგმაში გაწერილია რომელი სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ ცალკეული სწავლის შედეგების შეფასებას, წარმოდგენილია შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები, სასწავლო კურსების მიხედვით შეფასების პერიოდები და განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის მეექვსე დონეს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს, ასევე უმეტესად ფარავს ფარმაციის სფეროს ძირითად მიმართულებებს, თუმცა, ასევე მოიცავს ჩანაწერებს, რომელიც მეტად რელევანტურია ჯანდაცვის სფეროსთვის. მაგ. „მართავს პაციენტის ჯანდაცვის საჭიროებებს ადამიანური, ფინანსური, ტექნოლოგიური და ფიზიკური რესურსების გამოყენებით“; „ახდენს ჯანდაცვის სისტემის შიგნით ღირებულების დემონსტრირებასა და რაოდენობრივ შეფასებას. კულტურული სენსიტიურობით, გამოავლენს ჯანმრთელობის სოციალურ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რათა შემცირდეს თანასწორობა და უთანასწორობა ხარისხიანი ზრუნვის ხელმისაწვდომობაში“; „ცნობს ჯანდაცვის სისტემებს და იცის სისტემის შიგნით მათი ღირებულების დემონსტრირება და რაოდენობრივი შეფასება“.

პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული

ჩანაწერების არსებობა განპირობებულია ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის გაზრდით, თუმცა უფრო მეტად ესადაგება ჯანდაცვის მენეჯმენტს ვიდრე ფარმაციას და საჭიროებს კორექტირებას. რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირებისა და შინაარსობრივი მხარის გადახედვა, რათა უპასუხოს ფარმაციის პროგრამის მიზნების მიღწევადობასა და რეალისტურობას, ასევე შედეგების შესაბამისი ზმნებით ფორმულირებამ მკაფიოდ განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი.

ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები, შესაბამისად პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირები იცნობენ და იზიარებენ პროგრამის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს როგორც პროფესიით დასაქმებას, ისე განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკა
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები და ანგარიშები
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 14 აპრილის № დადგენილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირებისა და შინაარსობრივი მხარის გადახედვა, რათა უპასუხოს მიღწევადობასა და რეალისტურობას, ასევე შედეგების შესაბამისი ზმნებით ფორმულირებამ მკაფიოდ განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასებისა და პროგრამის მიხედვით ირკვევა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე მიღების გამჭვირვალე და ნათელი პირობები. კერძოდ: „ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად“.

ზსსუ-ს მიერ ჩამოყალიბებულია სხვა უნივერსიტეტიდან მობილობით გადმოსვლის პირობები, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10-ს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით გადასვლა და ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, შესაბამისი ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ამდენად ექსპერტთა პანელი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი:
- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, კვალიფიკაციის ჩარჩოს მახასიათებლის და კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების თანამიმდევრობა ლოგიკურია. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

განხორციელდა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამ მიზნისთვის დამტკიცებული ჯგუფის შემადგენლობით. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრს) და მოიცავს 240 კრედიტს. 1 კრედიტი შეადგენს 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობებს, სააუდიტორო აქტივობებისა და დამოუკიდებელ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილება:

- თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები **40** კრედიტი;
  20 კრედიტი
  მ/შ უცხო ენის მოდული -
- თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - **30** კრედიტი;

ფარმაციის სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კურსები 140 კრედიტი მათ შორის:

პრაქტიკა - 15 კრედიტი

სპეციალობის არჩევითი კურსები - 30 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია.

მიუხედავად იმისა, რომ რეაკრედიტაციისთვის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამამ განიცადა გარკვეული ცვლილებები და გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაციები, მაინც რჩება ხარვეზები სტრუქტურასთან დაკავშირებით. კერძოდ: სავალდებულო თავისუფალი და თავისუფალი არჩევითი კურსები მოიცავს 70 კრედიტს, რაც ძალიან ბევრია, მაშინ როცა სავალდებულო მაპროფილებელი საგნები გადატანილია არჩევითში. მაგალითად ისწავლება „ფილოსოფიის ისტორია“ როგორც სავალდებულო კურსი, რომელიც ინტერვიუს დროს ახსნილი იქნა როგორც კომუნიკაციური და აზროვნების უნარების განმავითარებელი, თუმცა ეს შესაძლოა იყოს სადაო, რამდენად ახდენს „ფილოსოფიის ისტორია“ და არა „ფილოსოფია“ ამ უნარების განმტკიცებას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ ისეთი დისციპლინა, როგორიცაა

„ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“ არის არჩევითი და არა სავალდებულო კურსი.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროგრამის შემუშავებაზე, განვითარებასა და პროგრამის ყველა კომპონენტის ეფექტური მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე. პროგრამის ხელმძღვანელები და სამუშაო ჯგუფი მუდმივად მსჯელობს პროგრამისა და კურიკულუმის განვითარებაზე, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ახალი სასწავლო კურსების დანერგვაზე დარგის თანამედროვე და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში, ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობენ დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულები. მათმა შენიშვნებმა და რეკომენდაციებმა ახალმა გამოწვევებმა ფარმაციაში განაპირობა ცვლილებები პროგრამაში, ახალი დისციპლინების შემოტანა სწავლებაში, როგორიცაა: „ფარმაცევტული ზრუნვა, ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი“.

პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა გაიზარდა, რაც სავალდებულო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნის გაღრმავების ან, საკუთარი სასწავლო, თუ კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს სტუდენტს.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა კურსდამთავრებულისათვის განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლისა და უკვე მიღებული კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და აკადემიურ პერსონალთან
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია „ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“-ს

არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსებში გადმოტანა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი ფარავს კვალიფიკაციისარჩოს მახასიათებელში გათვალისწინებულ თემებს და შეესაბამება სასწავლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება გარკვეული შინაარსობრივი თუ ტექნიკური ხარვეზები. კერძოდ: ზოგიერთ

სილაბუსში (ბიბლიოთეკაში განახლებულია) ძირითადი ლიტერატურა მოძველებულია; სილაბუსებში (აკადემიური წერა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა) მითითებულია რომ განკუთვნილია სამაგისტრო პროგრამისთვის. ასევე რეკომენდებულია დარგის თანამედროვე მიღწევების სწავლებისთვის ინგლისურენოვანი ლიტერატურის მითითება. მაგალითად „ფარმაკოგნოზია“-ის ძირითად ლიტერატურად მითითებულია 1.ნ. ანელი ატლასი მცენარეთა ანატომია 1980 თბილისი; 2. კურსანოვი „ბოტანიკა“_1975 თბილისი; 3.ქ. ცხაკაია, ე. მირიანაშვილი_მცენარეთა ანატომია _1975 თბილისი ტაბულები, მცენარეების ახლად აღებული და ჰერბარიუმის მასალები. სინათლის მიკროსკოპი, მუდმივი პრეპარატები. დამხმარე ლიტერატურა: 1. Медведева В.К. - Ботаника - 1980. М. Василев и др. -Ботаника - Анатомия и морфология растений - 1978. М.Эсау - Анатомия растении - 1969 - Мир.“ ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება სხვადასხვა კომპონენტებით (მაგ., აქტივობა, ზეპირი გამოკითხვა, ტესტი, ქვიზი, პრაქტიკული სამუშაო, პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა) და სათანადო კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და აღწერილია სილაბუსში. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ზოგიერთ დისციპლინებში სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს მოძველებულ ვერსიებს (მაგალითად: ზოგად იმუნოლოგიაში სილაბუსში მითითებულია 2007 და 2012 წლის ვერსიები, როცა უკვე არსებობ იმავე წიგნის 2017 წლის განახლებული გამოშვება). ახალ სასწავლო და ასევე რელევანტურ სხვა წყაროებს. პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი სასწავლო ლიტერატურით ქართულ ენაზე, ასევე, დამატებითი ლიტერატურით, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. სილაბუსების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროგრამის სასწავლო კურსები ხორციელდება დარგის მეცნიერების მიერ გამოცემული უახლესი ინფორმაციის შემცველი სახელმძღვანელოებით. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ხელს უწყობს ისიც, რომ ზსსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ კურიკულუმის რუკა ○ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ○ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გასწორება; • რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის განახლება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამრავალფეროვნება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ზსსუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ასევე სტუდენტების ინტერვიურებისას აღნიშნული იქნა, რომ ფარმაციის პროგრამაში სწავლის შედგების მისაღწევად განსაზღვრულია სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება, რომელიც გაშლილია როგორც ცალკეულ პროფესიულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში, ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკული ნაწილი („კლინიკური ფარმაცია“, „წამალთა ტექნოლოგია“). პრაქტიკული

ნაწილი 15 კრედიტიანია და მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ასევე განმტკიცებას და აუცილებელი უნარ-ჩვევების ათვისებას უზრუნველყოფს.
ზსსუ-ს ამ მიზნით მოწყობილი აქვს თვით უნივერსიტეტში სასწავლო ლაბორატორიები, რომელიც განახლებულია და მოწყობილია შესაბამისი აპარატურით. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები, როგორც სხვა უნივერსიტეტებთან, ასევე რეგიონში არსებულ დიდ თუ მცირე ზომის აფთიაქებთან და გამოიყენებს მათ როგორც პრაქტიკის ბაზებს. თუმცა ინტერვიუს დროს ცალკეულ შემთხვევებში არ არის მითითებული პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების ზუსტი რაოდენობა ან ხელშეკრულებაც არ არის გაფორმებული (მაგალითად გეფა).
სტუდენტებთან ინტერვიურებისას ნათლად გამოჩნდა, რომ ისინი კმაყოფილი არაინ პრაქტიკის ობიქეტებზე სწავლის პროცესით, ასევე შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილ კვლევაში.
ზსსუ-ს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა აკადემიური პერსონალისთვის ხელშეწყობა კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. ზსსუ უზრუნველყოფს საერთაშორისო ბაზებთან წვდომას, და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო შრომების საერთაშორისო აღიარებულ და მაღალრეინტინგულ გამოცემებში ბეჭდვას.
აკადემიურ პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები „Turnitin -ის ფარგლებში სამეცნიერო შრომების შეფასებისა და მათი უკუკავშირის, რუბრიკების წერის სწავლების, პლაგიატის პროგრამის მოხმარების ეფექტურობისა და კვლევის ხარისხის ამაღლების მიზნით. მაგალითად აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა ონლაინ შემდეგ საჭირო კურსებზე: *„როგორ მოვამზადოთ ხელნაწერი წამყვან ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად; მაღალ იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში ბეჭდვის რჩევები;*

Elsevier პლატფორმაზე წვდომის ხელსაწყოები;

კვლევის სტატისტიკის მართვის პოტენციალის გახსნა;

რჩევები ხელნაწერის გასაგზავნად JOGNN -ში (Content and manuscript Submission Tips for JOGNN)

კვლევის შესაძლებლობების გაძლიერება დისტანციურად და სხვა“

გარდა ამისა საერთაშორისო პროგრამის STAR-ის ფარგლებში მომზადდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის სახელმძღვანელო, რომლის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების საფუძველზე ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შევიდა ცვლილება და განახლდა სწავლების მეთოდები სწავლისა და სწავლების ახალი და ინოვაციური მეთოდებით.
აღსანიშნავია, რომ ზსსუ-ში ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები და მონაწილეობენ არამარტო საქართველოში მოღვაწე პროფესორები, არამედ სხვა ქვეყნებიდან მოწვეული მკვლევარები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი მიღებული გამოცდილებისა და მასალების გასაზიარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ,,ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ,, სამეცნიერო სამსახურის დებულება“

- ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების, დაფინანსებისა და განკარგვის წესი“
- ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზაფხულის/ ზამთრის სკოლის ჩატარების წესი“
- მემორანდუმები
- კონფერენციის მასალები.
- სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია
- სამეცნიერო განყოფილების სტრატეგიული გეგმა
- სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი პროექტების გამოცხადებისა და დაფინანსების წესი
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ყველა დამსაქმებელთან გაფორმდეს ხელშეკრულება, სადაც ასახული იქნება სტუდენტების ზუსტი რაოდენობა და პრაქტიკის პირობები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსებში გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლების/სწავლის მეთოდები, რომლებიც თავსებადობაშია უმაღლესი განათალების შესაბამის აკადემიურ საფეხურთან (ბაკალავრიატი). პროგრამის ფარგლებში, გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები ცალკეულად ან ინტეგრირებულად: ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობები, დამოუკიდებელი მუშაობა, ასევე ზეპირსიტყვიერი, ჯგუფური მუშაობის, წერითი მუშაობის, წიგნზე მუშაობის, ახსნა-განმარტებითი, ანალიზის, სინთეზის, დისკუსია/დებატების, დემონსტრირებისა და სხვ. მეთოდები. მეთოდები შემუშავებულია საერთაშორისო პროექტის STAR-ის ფარგლებში შემუშავებული სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელოს საფუძველზე, მორგებულია საგნის სპეციფიკას და დეტალურადაა გაწერილი თითოეული საგნის სილაბუსში. იქიდან გამომდინარე, რომ უსდ-ს აქვს განსაკუთრებული მისია და პოლიტიკა (საზღვრისპირა რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება იძულებით გადაადგილებულ პირებს აფხაზეთიდან) ინერგება სწავლების შერეული ტიპის (ჰიბრიდული) ელექტრონული სწავლება, Moodle პალტფორმის გამოყენებით, რომელშიც სტუდენტებს ექნებათ წვდომა ლექციების გეგმებზე, სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდებსა და მასალებზე. აღნიშნული გამოცდილება სასწავლო უნივერსიტეტში ინერგება საერთაშორისო პროექტების (DARE, STAR, INTEGRITY) ფარგლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) ბრძანებით და უსდ-ს შიდა დადგენილებებით. კერძოდ, პროგრამის სტუდენტის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემით (შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა). თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტები და მეთოდები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და თავსებადობაშია შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. გარდა ამისა, სასწავლო კურსის შეფასების ნაწილში ჩაშლილია რუბრიკები, რაც ინდივიდუალურია თითოეული საგნისათვის და დეტალურადაა ჩაშლილი სასწავლო კურსების სილაბუსებში. დასკვნითი და შუალედური შეფასებისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების სისტემაში დაცულია სტუდენტის უფლება გაასაჩივროს მიღებული შედგები უსდ-ს განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად. პროცესი რეგულირდება სტუდენტთა მომსახურების ცენტრის მიერ. პროცედურის გამარტივების მიზნით, ელექტრონული მართვის პროგრამას LMS-ს აქვს დამატებითი ,,ფანჯარა“, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უკუკავშირის შესაძლებლობას, მათ შორის შეფასების გასაჩივრებას ელექტრონულად. უსდ პერიოდულად ახორციელებს

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგსა და ანალიზს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება; ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კონსულტაცია აკადემიურ პერსონალთან, ამისთვის გამოყოფილია კონკრეტული საათი და აუდიტორია. უნივერსიტეტში არსებობს ინფორმირების ელექტრონული სერვისები. გარდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა, აქტიურად გამოიყენება LMS სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პროგრამა. ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს კორპორაციული ფოსტა, თუმცა ადმინისტრაცია დამატებით კონსულტაციებს ატარებს სხვა პლატფორმების საშუალებითაც, სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად. უსდ-ში ფუნქციონირების კურატორთა ინსტიტუტი, რომლებიც სტუდენტებს სასწავლო პროცესთან და სხვა საჭიროებებთან დაკავშირებით უწევენ კონსულტაციას. თითო ჯგუფზე (დაახლ. 10-15 სტუდენტი) გამოყოფილია 1 კურატორი. უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრები, კერძოდ: აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა, ფსიქოლოგიის, ბავშვთა, ენების და სხვ. ასევე, აქტიურად ფუნქციონირებს სოციალური მხარდაჭერის პროგრამები (მაგ, დედების, იძულებით გადაადგილებული თუ შშმ პირებისა და სხვ.). უსდ-ში მოქმედებს სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებები: გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა, ასევე მოქმედებს შოთა მესხიას სახელობის სტიპენდია და სხვადასხვა

სოციალური პროექტების ფარგლებში ხორციელდება სტუდენტების დაფინანსება. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც იცავს სტუდენტის უფლებებს და წარმოადგენს მათ ინტერესებს ადმინისტრაციულ რგოლში. გარდა ამისა, სტუდენტური თვითმმართველობა ორგანიზებას უწევს კულტურულ, გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს. ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც მუდმივად ახორციელებს შრომის ბაზარზე ვაკანსიების მონიტორინგს და პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვას. გარდა ამისა, მუდმივადაც თანამშრომლობს ფარმაცევტულ კომპანიებთან, რომლებშიც სტაჟირებას გადიან ან შემდგომ საქმდებიან სტუდენტები. გასაუბრების შედეგებმა ცხადყო, კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი საკუთარი პროფესიითაა დასაქმებული და ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტი იყო დამაკავშირებელი რგოლი დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. უსდ-ში ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები, თუმცა ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ ფარმაციის პროგრამის სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართულები. ასევე, გამოიკვეთა, რომ ფარმაციის პროგრამის სტუდენტები ნაკლებად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში. სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ჩართულები ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. უსდ-ს ინტერნაციონალიზაციის ნათლად დასახული პოლიტიკა აქვს წარმოდგენილი და უკვე გაფორმებული აქვს მემორანდუმებიც, სადაც გათვალისწინებულია ფარმაციის სტუდენტების ჩართულობაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ გაფორმებული მემორანდუმები; ○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სტუდენტები უფრო აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ აღსანიშნავია უსდ-ს როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართულებით. როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები და ადმინისტრაცია აქტიურად არიან ჩართულები აფხაზი სტუდენტების ხელშეწყობასა და

ინტეგრაციაში, რაც ძალზე დასაფასებელია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასებიდან, თანდართული დოკუმენტაციიდან და ინტერვიურების პროცესიდან ირკვევა, აკადემიურ პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის“ შესაბამისად. კერძოდ: პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 აკადემიური/მოწვეული პერსონალი. კერძოდ, 3 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტი, 4 მასწავლებელი, 12 მოწვეული სპეციალისტი. 18 აკადემიური პერსონალიდან 14 აფილირებულია (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელისა და ჩართული პირების შესახებ წარმოდგენილია თანდართულ დოკუმენტებში). აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში ზოგადად, თუმცა მაპროფილებელ დისციპლლინებში ძირითად მოწვეული პედაგოგებია, რაც შესაძლოა პროგრამის მდგრადობისთვის სუსტი წერტილი აღმოჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ რეაკრედიტაციის პერიოდში ზსსუ-ს მიერ ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კონკურსის წესით არჩეულ იქნა 2 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ-პროფესორი, მაპროფილებელ დისციპლინებში (ფარმაცია) აფილირებული პერსონალი მხოლოდ 3-ია. ზსსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის კონკურსით შერჩევის წესი და ითვალისწინებს კონკურსის საჯაროდ გამოცხადებას, სპეციალური კრიტერიუმების შემოწმებას საკონკურსო კომისიის მიერ. კრიტერიუმები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: 1. აკადემიურ/სამეცნიერო ხარისხი; 2. სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება; 3. განვითარების სტრატეგია; 4. სამეცნიერო ნაშრომები; 5. პროექტებში მონაწილეობა; 6. საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში ჩართულობა;

7. სასწავლო კურსების სილაბუსები.

შესაბამისად, უნივერსიტეტი კონკურსის წესით იღებს კვალიფიციურ კადრებს, საკონკურსო კომისია მიღებას ახორციელებს 2 ეტაპად და სასურველ კანდიდატთან ტარდება გასაუბრება.

რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელებს, მოხდა გარკვეული ცვლილებები და ამჟამად წარმოდგენილ განახლებულ პროგრამას ჰყავს 2 მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთი აფილირებულია და მეორე მოწვეული. ორივე ხელმძღვანელს გააჩნია ფარმაციის მიმართულებით მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება (თანდართული ბიოგრაფიული მონაცემები). ზსსუ-ს შემუშავებული პროგრამის ხელმძღვანელის დებულება, სადაც განსაზღვრულია მათი ფუნქციები და მოვალეობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისათვის ქმნიან შესაბამის პირობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები
- მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები
- აფილირებული აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები
- მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.CV-ები, გამოქვეყნებული შრომების სია
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სამუშაოთა აღწერილობა.
- პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნისა და გამოცდილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანამანთლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“
- ,,მართვის პოლიტიკა“
- ,,შეფასების მეთოდოლოგია“
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესი.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ფარმაციის მიმართულებით აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი ,,მართვის პოლიტიკა", რომელშიც დეტალურად არის გაწერილი, პერსონალის ეფექტური მუშაობის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები. კერძოდ ,,მართვის პოლიტიკით" განსაზღვრულია „თვითშეფასების, შეფასების და კმაყოფილების კვლევის პროცედურები". პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია: ა) „სასწავლო უნივერსიტეტის, მოქმედი კანონმდელობისა და შრომის ბაზრის მდგომარეობის შესაბამისად, პერსონალის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განახლებისა და შენარჩუნების პროცესის ოპტიმალური ბალანსის უზრუნველყოფა; ბ) სასწავლო უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობისა და ეფექტურობის უზურნველყოფა.

გ) სასწავლო უნივერსიტეტის მაღალკვალიფიცირებული საკადრო პოტენციალით უზრუნველყოფა“.

გარდა ამისა, ზსსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოზე (2018.20.04) დამტკიცებულია პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელშიც აღწერილია შეფასების კრიტერიუმები:

1. „აკადემიური პერსონალის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა სასწავლო პროცესში საკუთარი ცოდნის ეფექტური გამოყენება; ინდიკატორები: სტუდენტების გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგები; სტუდენტთა მიღწევები შესაბამის აკადემიურ დისციპლინებში;
2. აფილირებული აკადემიური პერსონალის ფუნქციაა უახლესი კვლევების შედეგების დანერგვა, ინტელექტუალური გამოცდილების გაღრმავება და მისი შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორები: პროფესორ-მასწავლებლების წლიური ანგარიშის შეფასების შედეგები; პროფესორ-მასწავლებლის თვითშეფასება; კოლეგების შეფასებები;

3. აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საქმიანობა, რომელიც ეხმარება პერსონალს პროფესიულ წინსვლაში, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტს მისიისა და სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება პერიოდულად და მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად ხდება მათი წახალისება პრემია/დანამატების გაცემით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ამ პროცესს ახორციელებს „ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამოქმედო გეგმის თანახმად და ითვალისწინებს *სააუდიტორიო მუშაობაზე პერიოდულ დაკვირვებას* ზოგადი და პროგრამისთვის სპეციფიკური პრობლემებისა და საჭიროებების დადგენის მიზნით. გარდა ამისა, უნივერსიტეტში შემუშავებულია „*ურთიერთდასწრებისა* და სააუდიტორიო მუშაობის პოლიტიკა“.

უნივერსიტეტი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით მართავს ტრეინინგებს, ხელს უწყობს სამეცნიერო კონფერენციებზე დასწრებას. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ზსსუ-ში ფუნქციონირებს უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის „აკადემიური საბჭოს მიერ აკრედიტებული ტრენინგ-კურსების ჩატარებას.

მაგალითად, „საერთაშორისო პროექტის DARE-ს ფარგლებში გადამზადდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მომზადდა ტრენერთა ტრენერები მათთვის სპეციალური საჭიროებისა და მოწყვლადი ჯგუფების სტუდენტების მომსახურების მეთოდების სწავლების მიზნით“.

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, ზსსუ-ში ამერიკული საბჭოები საერთაშორისო განათლებისთვის მხარდაჭერით (American Councils for International Education) ხორციელდება ონლაინ თანამშრომლობა სასწავლო კურსების სწავლების ორგანიზებაში, რომლის საფუძველზე მომზადებულია ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და პენსილვანიის სახელმწიფო უნევერსიტეტს შორის. მიუხედავად ამისა, ინტერვიუდან იკვეთება, რომ აკადემიური პერსონალის გაცვლა და ევროპულ უნივერსიტეტებთან ახალი

ხელშეკრულებების გაფორმება რჩება ერთ-ერთ გამოწვევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 12 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა“
- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,შეფასების მეთოდოლოგია“
- პროფესორ-მასწავლებლების წლიური ანგარიშები
- პროფესორ-მასწავლებლისთვითშეფასება;
- გამოკითხვები, გამოკითხვების შედეგები
- ჩატარებული კონფერენციები, ტრენინგები.
- პერსონალის პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/სერტიფიკატები.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით აკადემიური პერსონალი მონაწილეობის ზრდა გაცვლით პროგრამებში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკის რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება როგორც ადგილზე (უსდ-ს სასწავლო კორპუსში) არსებული სალექციო აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორიები (ფარმაციის, მიკრობიოლოგიის, ანალიზური ქიმიის), ასევე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა სახის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები (მაგ., ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში) კლინიკური მიმართულების ობიექტები, აფთიაქები.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ზემოთ ჩამოთვლილი ლაბორატორიები, რომლებიც მნიშვნელოვნად განახლებულია და ამჟამინდელი მდგომარეობით, როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად აკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნებს. თუმცა, ცხადია, სასურველია, ლაბორატორია მუდმივად განახლდეს და უსდ-მ, შესაძლებლობების ფარგლებში, კიდევ შეიძინოს ანალიზის თანამედროვე ხელსაწყოები. თუმცაღა, ამ ეტაპზე, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ერთობლივი პროექტები სხვა უნივერსიტეტებთან საკმარისად უზრუნველყოფს თანამედროვე დანადგარებთან სტუდენტების მუშაობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალური რესურსები (დანართი 10);
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;

○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, უსდ-მ შესაძლებლობის ფარგლებში, პერიოდულად განაახლოს ლაბორატორიები თანამედროვე ანალიზური დანადგარებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ლაბორატორიების აღჭურვილობა და ამჟამად სავსებით აკმაყოფილებს სტუდენტთა საჭიროებებს როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი

საერთო/საუნივერსიტეტოა, სადაც ყველა შემოსავალი ერთიანდება სასწავლო უნივერსიტეტის ნაერთ ბიუჯეტში, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში მიემართება სხვადსხვა საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად. ამდენად, ცალკე პროგრამული ბიუჯეტი გამოყოფილი არ არის და სრულად უზრუნველყოფილია მთლიანი უნივერსიტეტის შემოსავლებიდან. რამდენადაც პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობა არ არის მრავალრიცხოვანი, ცალკე არებული პროგრამის ბიუჯეტი ვფიქრობთ არ იქნება მდგრადი, თუმცა უნივერსიტეტს გაწერილი აქვს სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია ,,ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის“ მოსამზადებელი ფინანსური რესურსები. რექტორის ბრძანებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაევალა ფაკულტეტის დეკანთან ერთად (სამუშაო ჯგუფის შექმნა) პროგრამის საჭიროებებისთვის შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფა/უზრუნველყოფა არსებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 12 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის/დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესი „ ○ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული 2022 წლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი ○ დაფინანსების წყაროები ○ სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ბიუჯეტი ○ რექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფი შექმნისა და დავალებების გაცემის შესახებ
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური შედგება როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის

უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას.

ასევე, სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის დანერგვა და უწყვეტი გაუმჯობესება. უსდ-ს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები რეგულარულად ახორციელებენ შიდა შეფასების პროცედურებს, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, უნივერსიტეტის აკადემიური აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობის, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატიურ შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები; სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების შედეგები; ურთიერთდასწრებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგისა და კოლეგიალური შეფასების შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასცემს რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა. მიუხედავად, იმისა რომ თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში არ იყვნენ ჩართულნი სტუდენტები და კურსდამთავრებულები, უსდ სხვადასხვა ფორმატის მეშვეობით იღებდა ინფორმაციას სტუდენტთა საჭიროებების შესახებ. აკრედიტაციის პროცესის მსვლელობისას გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების მოტივაცია მეტად ითანამშრომლონ პროგრამის განვითარების პროცესებში. სასურველია ინსტიტუციამ მეტად გაზარდოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რათა გაცილებით დროულად და ეფექტურად მოხდეს განვითარების პროცესებში მათი ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის გაფართოებული შეხვედრები,

ასევე ფორმალური და არაფორმალური ფორმატის შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები და ანგარიშები
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 14 აპრილის № დადგენილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა
- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მეტად გააქტიურდეს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, რათა გაცილებით ეფექტურად მოხდეს განვითარების პროცესებში მათი ჩართულობის და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, ასევე, გარე ექსპერტის შეფასებას.

,,ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ 2020 წელს მიიღო პირობითი აკრედიტაცია, 2 წლის ვადით. პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა პროგრამის წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა გარე შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა უსდ-ს პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენელ დარგის სპეციალისტთან. აღსანიშნავია, გარე შემფასებლების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო ეტაპზეც.

პროგრამა ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა დადებითად და გაცემულ იქნა რჩევები შემდგომი განვითარების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დადასტურდა შემფასებელთა მიერ გაცემული რეკომენდაციების ასახვა და გამოყენება პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები და ანგარიშები
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 14 აპრილის № დადგენილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა
- გარე ექსპერტის დასკვნა
- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. პროგრამის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით,

ხორციელდება აკადემიური პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგიალური დასწრების საშუალებით, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და ხდება სასწავლო კურსისთვის დადგენილი მიზნობრივი ნიშნულის და ფაქტობრივი შედეგების ანალიზი. ასევე, პროგრამის დასრულებისას - სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შეფასების სისტემის მოდიფიცირება და ადაპტირება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოკვლეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი უნივერსიტეტების წარმატებული პროგრამების გამოცდილება - კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვისკონსინის კონკორდიას უნივერსიტეტი, Mequon-ის უნივერსიტეტი, ვისკონსინი, შეერთებული შტატები. აღნიშნული გამოცდილებების შესაბამისად, გაზიარებულ იქნა ჯანდაცვის სისტემის ადაპტაციის გამოცდილება ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამაში. მათ შორის, იდენტიფიცირებულ იქნა სწავლის შედეგები, რომელიც ჯანდაცვის პროგრამის და ფარმაციის პროგრამის სტუდენტებს აერთიანებთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები და ანგარიშები
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 14 აპრილის № დადგენილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი
- ანალოგი პროგრამების ინფორმაცია
- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფარმაციის პროგრამა, ბაკალავრიატი
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ია ფანცულაია, ი. ფანცულაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა გორგასლიძე

თამთა ცხოვრებაძე

თამარ ხატისაშვილი